# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველდღიური გამოცემა კვირა-უქმეების შემდეგაც.— პარასკევი, 24 მარტი 1900 წ. № 1081

**გაზეთი ღირს:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“.

ტელეფონი № 372.

## სახალხო სეირნობა
### საქველმოქმედო ბაზრითურთ

«ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების» სასარგებლოდ განზრახულია გაიმართოს მაისში. შემოწირულებათა წარმოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძესთან, ნიკოლოოზის ქუჩა, № 21. (ნ. 0—18)

წარსული წლების ჟურნალი ,,მოამბე“ გაიყიდება შემდეგ ფასებად: 1894 და 1895 წ. წ.—შვიდ-შვიდ მანეთად და 1896, 1897 და 1898 წ. წ.—ხუთ-ხუთ მანეთად. ხოლო 1899 წ. «მოამბე» 1900 წ. ხელის მომწერთათვის ღირება ხუთი მანეთი.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თითო წლის ჟურნ. «მოამბის» ფოსტის ხარჯათ 60 კაპ. უნდა გამოგზავნონ. ჟურნ. ,,მოამბის“ ადრესი: Тифлисъ, въ редакцію журнала ,,Моамбе“.

ქართ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ა. ს. როინაშვილის მიერ ნაანდერძევი

## ფოტოგრაფია

გადატანილ იქმნა ერევნის მოედანზედ, ხარაზოვის სახლში. (ნ. 0—35)

ქართული თეატრი

შაბათს, 25 მარტს,

ზაქ. ბ. ფალიაშვილი გაჰმართავს

უკანასკნელს ქართულს

## კონცერტს.

კონცერტი ორი განყოფილებისაგან შესდგება. მონაწილეობას მიიღებენ: ქალთა და კაცთა ხორო, ქ-ნი გაბუნია ცაგარლისა, თავ. ი. ა. ზარათაშვილი და სხვანი.

კონცერტის შემდეგ წარმოდგენილი იქნება

მშვენიერი ელენეს მამიძელნი

ფარსი 1 მ., გადმოკ. ა. ცაგარლისა

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი გაბუნია-ცაგარლისა, ჩერქეზიშვილისა, ტასო აბაშიძე, ბ-ნნი აბაშიძე, ბედეკანიძე, სვიმონიძე, და სხვა.

დ ა ს ა ს რ უ ლ ი

გოგონა და ლეკური

ბილეთების ფასი ჩვეულებრივი

დასაწყისი 8 საათზე.

კონცერტის გამგე ზაქ. ბ. ფალიაშვილი.

## ახალი ამბავი

— ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მორიგი კრება დღეს დაასრულებს, ალბად, განხილვას ყველა დანიშნულ საგნებისას და შეუდგება **გუბერნიის და მაზრების წინამძღოლთა** არჩევნებს.

— როგორც გადმოგვცეს, **მაზნიანის დეპოს** შუამდგომლობა აღუძრავს ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის წინაშე, რომ 5000 მანეთით შეეწეოს აღმოჩინოს დეპოს საქმის წარმოებისათვის.

— ამ დღეებში მოხდება საზოგადო კრება კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წევრთა, რომელზედაც განხილული იქმნება საგანგებო კომისიის მიერ შემუშავებული პროექტი აბრეშუმის **გრენის სახელმწიფო კონტროლის** დაწესების შესახებ.

— ტფილისის საგუბერნიო მმართველობას გაუნაწილებია უკვე სამის წლით **ხიდის-ფულის გადასახადი** იმ პირებზე, რომელნიც არ იხდიან საკომლო გადასახადს. ამ განაწილებით ხვდა: ტფილისის მაზრას—7610 მ. 91 კ., ბორჩალოს—18,648 მ. 47 კ., დუშეთისას—3877 მ. 54 კ., გორისას—20,664 მ. 39 კ., ახალციხისას—6857 მ. 6 კ., ახალქალაქისას—2468 მ. 50 კ., სიღნაღისას—5941 მ. 42 კ., თელავისას—4295 მ. 91 კ. და თიონეთისას—1547 მ. 70 კ.; სულ—71,911 მ. 90 კ.

— შარშან ტფილისის ქალაქის საბჭომ გადასწყვიტა დააწესოს მცხოვრებლებზე **გადასახადი საავადმყოფოს გახსნისათვის**. განზრახულია 2 მან. სულზე. საავადმყოფოში 400 ადგილი იქნება. ამ დღეებში ეს პროექტი ტფილისის გუბერნატორს წარუდგენია კავკასიის მთავარმართებლის თანაშემწესთვის დასამტკიცებლად. თავის მხრით გუბერნატორი საჭიროდ რაცხს პროექტის დამტკიცებას იმ შეცვლით მხოლოდ, რომ მცხოვრებნი ორ ნაწილად იყვნენ გაყოფილნი: ღარიბებმა წელიწადში 1 მან. იხადონ, უფრო შეძლებულებმა-კი 2 მანეთი.

— ახალციხისა და გორის მაზრებიდან ცნობები მოვიდა იმის შესახებ, რომ მთებზე თოვლი მსწრაფლ დადნა და **მდინარეები ადიდდნენ**. ბევრ ადგილას წყალმა ყანები წალეკა.

— ახალქალაქის მაზრაში მიწის ძვრისაგან **დაზარალებულთა** სასარგებლოდ დღემდის 200 ათას მანეთზე მეტი შემოუწირავთ. სხვათა შორის, ამ დღეებში კომიტეტს მოსვლია 5 ათასი მანათი მის უმაღლესობის დიდის მთავრინას ელისაბედ თეოდორეს ასულისაგან. ეს ფული დარჩენილა იმ თანხიდან, რომელიც დიდ მთავრინასთვის გამოუგზავნიათ სხვა-და-სხვა პირთ შარშან რუსეთში მოუსავლობისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ.

— ფინანსთა სამინისტროში აღუძრავთ საკითხი იმის შესახებ, რომ დაწესებულ იქმნას **საგანგებო გადასახადი** სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებზე, რათა შემოსული ფულით გაძლიერებული იქმნას სწავლა ფაბრიკებსა და ქარხნებში.

— ამ უკანასკნელ დროს საშინლად გავრცელდა საქონლის **ჩარჩების რიცხვი**. თითქმის მთლად ნავთლუღის მცხოვრებნი ჩარჩებად გარდაიქმნენ. შიგ სავაჭრო რიყეში აუარებელი ირევა და აბა სხვაგან, რიყის გარედ, რაღა იქმნება. თითქმის მოვაჭრედ ხელში ჰგლიან საქონელს. თუმცა ქალაქის გამგეობისაგან დადგენილებით ჩარჩებს არა აქვთ არავითარი სანოვაგეს, მით უმეტეს სხვილ-ფეხა საქონლის ყიდვის უფლება, მაგრამ იგინი მგლებივით არიან. დადგენილება, მხოლოდ დადგენილებად რჩება და ჩარჩები კი თავისას ჰჩადიან. მათი ლაგმის ამომდები არავინ არის, თუმცა კი იქ ქალაქის მხრივ ვეტერინარი არის დაყენებული, რომლის პირდაპირი მოვალეობა თვალყურის დევნება.

— ყარაიადან გვწერენ: დადგა **ცხვრის წველის დრო** და მთლათ ყარაია აივსო **ტფილისის ჩარჩებით**. იგინი აქ დარჩებიან მაისის ნახევრობამდის და რასაც-კი მოიწველის ცხვარი მათია. უკანასკნელნი აკეთებენ ყველს და, რასაკვირველია, როგორც უნდათ ისე გაჰყიდიან.

— ორის წლის შემდეგ, 1902 წლის 8 ენკენისთვეს, სრულდება 100 წელიწადი მას შემდეგ, რაც დაარსებულ იქმნა **საერო განათლების სამინისტრო**. ამ დღისათვის მზადდება ისტორიული მიმოხილვა რუსეთში საერო განათლების საქმისა.

— მთავრობა კვლავ აგონებს მოსწავლეთ, რომელნიც გიმნაზიებს ათავებენ, რომ **უნივერსიტეტის არჩევაში** მათ იხელმძღვანელონ შარშან გამოცემულის ცირკულიარით. კავკასიელთ ეს ცირკულიარი ურჩევს შევიდნენ ოდესის, კიევისა და ხარკოვის უნივერსიტეტებში.

— სართიჭალის (ტფ. გუბ.) საფოსტო განყოფილებაში დაუარსებიათ საფოსტო-სატელეგრაფო **შემნახველი კასსა**.

— 15 მარტიდან 22-მდის ტფილისში შემოსულა სხვა-და-სხვა გუბერნიებიდან და მაზრიდან მსხვილ-ფეხი საქონელი გასასყიდათ 554 სული, სახელდობრ: ახალქალაქის მაზრიდან—102 ხარი, 10 ძროხა, 1 კვებულა და 2 ხარ-კამბეჩი; ბორჩალოს მაზრი-

დან—58 ხარი, 29 ძროხა, 16 კვებულა, 34 ხარ-კამბეჩი და 8 ფურ-კამბეჩი; გორის მაზრიდან—2 ხარი, 12 ხარ-კამბეჩი და 2 ფურ-კამბეჩი; დუშეთის მაზრიდან—1 ხარი, 1 ძროხა, 2 კვებულა და 1 ხარ-კამბეჩი; სიღნაღის მაზრიდან—2 ხარ-კამბეჩი; თიანეთის მაზრიდან—1 ხარი, 2 ხარ-კამბეჩი და 2 ფურ-კამბეჩი; ტფილისის მაზრიდან—7 ხარი, 4 ძროხა, 8 კვებულა, 15 ხარ-კამბეჩი და 12 ფურ-კამბეჩი; ერევნის გუბერნიიდან: 75 ხარი; განჯის გუბერნიიდან: 111 ხარი, 13 ძროხა, 1 კვებულა და 1 ფურ-კამბეჩი; ყარსის ოლქიდან: 25 ხარი; რუსეთიდან—49 ხარი.

ადგილობრივი ხარი გაიყიდა 15 მან.—35 მანეთამდის; ძროხა 11—20 მ.; კვებულა 7—12 მან.; ხბო 3—7 მან.; ხარ-კამბეჩი 25—40 მან.; ფურ-კამბეჩი 20—30 მ. და რუსეთის ხარი 40—50 მ.

ზემო მოყვანილ ცნობების მიხედვით **ფუთი ხორცი** ტფილისის ყასპებს **უჯდებათ** 2 მ. 50 კ.—3 მ., ისინი კი 1 ფუთ ხორცს ჰყიდიან, ძალით თუ ნებით, 4 მ. 40 კ.—5 მ.

## ტფილისის თავად-აზნაურთა კრება

გუშინ, 23 მარტს, კრება დაიწყო დილის $11^1/_2$ საათზე. თავმჯდომარემ, **ი. ზ. საჯაიაშვილმა**, მოახსენა კრებას, რომ დეპუტატთა საკრებულოს წინადადება შემოაქვს შემდეგის თხოვნის აღძრის შესახებაო. ამ ჟამად, გამიჯვნის დროს, გარდა იმ გადასახადისა, რომელიც დაწყებულია ყოველ გასამიჯნავს დესეტინაზე, გამმიჯვნელი უწყება იღებს კიდევ ორ მანეთს მამულის ყოველის ცალკე ნაჭერის გამიჯვნისათვის; ხოლო რადგანაც ჩვენში მეტად ბევრია წვრილი მამულები, რომელნიც დაყოფილნი არიან მრავალ ნაჭრებათ, ამიტომ გროვდება საკმაოდ დიდი გადასახადი. დეპუტატთა საკრებულო საჭიროდ სთვლის, რომ აღძრულ იქმნას, სადაც ჯერ არს, შუამდგომლობა ამგვარი გადასახადის მოსპობის შესახებ.

კრებამ თითქმის უკამათოდ შეიწყნარა ეს წინადადება.

შემდეგ გორის მაზრის მარშალმა, თავ. **გ. დ. ბაგრატიონ-დავითაშვილმა**, წაუკითხა კრებას თავ. მ. ერისთავის წინადადება, რომელიც დაახლოვებით ამბობს შემდეგს: 1857 წლიდან ჩვენში უწესრიგო მდგომარეობაშია სანახირო ᲓᲐ საძოვარ ადგილებით სარგებლობა. ამგვარი ადგილები, ერთხელვე აღნიშნული, გლეხობისა და თავად-აზნაურობის საერთო სარგებლობაშია; წინადადების წარმომდგენელის სოფელში 500 დესეტინაზე მეტი ადგილია დატოვებული საძოვრად, თუმცა საჭირო არ არის ამდენი ადგილი უხნავუთესველი რჩებოდეს; ახლა, როდესაც ადგილ-მამულის გადასახადი არსდება, თავად-აზნაურობას მძიმედ დააწვება კისერზე სანახირო-საძოვარ ადგილების გადასახადიც იხადოს,—იმ ადგილების, რომლიდან მას შემოსავალი არა აქვს. ამიტომ საჭიროა თავად აზნაურობამ ითხოვოს სადაც ჯერ არს ამ საქმის მოწეს-რიგება.

ამ წინადადების შესახებ კამათის დროს თავ. **დ. ჯანდიერმა** აღძრა საზოგადო კითხვა გლეხებისა და თავად-აზნაურების ურთიერთობის გამო. მისის აზრით, საჭიროა ის მალე გადაწყვეტილ იქმნას საბოლოოდ დროებით ვალდებულ გლეხთა საქმე, რათა მოსპობილ იქმნას ყოველივე ვალდებულებანი მათ შორის. **ბ. თუმანიშვილმა** გაახსენა კრებას, რომ ამ ორი-სამი წლის წინად მთავრობა კიდეც შეუდგა ამ საქმის განხილვას და ცნობებიც შეჰკრიბა აქაურ საგუბერნიო დაწესებულებებშიო, მაგრამ რა მდგომარეობაშია საქმე, ეხლა არავინ იცისო. ამიტომ კარგი იქნება, თავად-აზნაურობა დაადგენდეს, რომ შუამდგომლობა იქმნას აღძრული ამ საქმის დაჩქარების შესახებ.

კრებამ **საძოვარ-სანახირო** ადგილებისა და, საზოგადოდ, დროებით ვალდებულ გლეხთა და თავად-აზნაურთა ურთიერთობის საქმეების განხილვა მიანდო დეპუტატთა საკრებულოს.

კრებას მოხსენდა თავ. **ივ. თაქთაქიშვილის** თხოვნა შემდეგის შინაარსისა: მის 23 წლის ვაჟს შარშან უბედურება შეემთხვა: მან დასჭრა ხანჯლით გორის მაზრის ერთი გლეხი, რომელმაც გზა გადაუღობა თაქთაქიშვილს, აღვირში ხელი სტაცა მის ცხენს და გინებაც დაუწყო. სასამართლომ გადაუწყვიტა ასტრახანის გუბერნიაში გადასახლება ყმაწვილისა. რადგანაც ეს მძიმე სასჯელი ახალგაზდა ყმაწვილს ხვდა იმგვარ საქმისათვის, რომელიც გამოიწვია უბედურ და შემთხვევით გარემოებებმა, თავ. ივ. თაქთაქიშვილი სთხოვს კრებას—იშუამდგომლოს ხელმწიფე იმპერატორის წინაშე ნიკ. თაქთაქიშვილის პატიების შესახებ.

ზოგი იმ აზრის იყო, რომ ამგვარ თხოვნებს არ უნდა ვიღებდეთ, რადგანაც სამართლის საქმეებში ჩარევა ძნელი არისო, მაგრამ კრებამ დაადგინა: საგანგებო პირობათა გამო, რომელიც ამ საქმეში არის, შეწყნარებულ იქანას თავ. თაქთაქიშვილის თხოვნაო.

კრებამ შემდეგ უარჰყო ამგვარივე ხასიათის თხოვნა **თავ. ვაჩნაძისა**, რადგანაც დეპუტატთა საკრებულოს ჯერ არ მიუღია ცნობა თ. კ. ᲓᲐ გ. ვაჩნაძეთა საქმის შესახებ.

ბოლოს კრება შეუდგა ბანკიდან დამფუძნებელთათვის ფულების დაბრუნების საქმის განხილვას. როგორც გამოირკვა თავ, **ი. გ. ჩავჩავაძის** ახსნიდან, ფინანსთა სამინისტროს ბრძანებით, ბანკის დამფუძნებელთ მათ მიერ შეტანილი ფული უნდა დაურიგდეს, ბანკის წესდების შეცვლისა გამო, მაშინ, როდესაც საგანგებო კომისია, ტფილისის გუბერნატორის თავმჯდომარეობით, შეიმუშავებს წეს-რიგს ფულის დაბრუნებისას და შეადგენს სიას დამფუძნებელთა; ამ ჟამად ეს უკვე შესრულებულია და მთელი საქმე წარედგინა ფინანსთა სამინისტროს. ამიტომ, საჭიროა ეხლავ გადავწყვიტოთ, როგორ მოხერხდეს, რომ ეს ფული კერძო პირებისმიერ არ იქმნას წაღებული და მოხმარდეს საზოგადო საქმეს.

**თავ. ც. გ. მაჩაბელი** ამბობს, რომ, რაკი კანონი გამოიცა ამ ფულების დაბრუნების შესახებ, თავად-აზნაურობამ უნდა დაადგინოს, დასაბრუნებელი ფულები—სულ 108 ათასი მანათი—სარგებლიან ქაღალდებად იქმნას ეხლავ ქცეული და ხელუხლებლად შეინახოსო.

**თავ. ი. გ. ჩავჩავაძე**. ეს ფულები ეკუთვნის დამფუძნებელთ და არა თავად-აზნაურობას; ამიტომ უკანასკნელს არავითარი ნება არა აქვს ბრძანება გასცეს სხვის ფულების შესახებ. მინისტრმა ბრძანა, რომ დამფუძნებელთ დაერიგოსო შემოტანილი ფული (взносы), სარგებლის შესახებ კი ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი. ფული დაუბრუნდება პატრონთ, როდესაც ფინანსთა მინისტრიდ დამტკიცებს შემუშავებულს წეს-რიგს და ამიტომ ამ ფულების ეხლავ გადადება ან სარგებლიან ქაღალდებათ ქცევა შეუძლებელია ჯერჯერობით.

თავ. **ა. ჩ. ჩოლოყაშვილი** ურჩევს კრებას იშუამდგომლოს, რომ ეს ფულები გადაეცეს თავად-აზნაურობას შესანახად, რადგანაც უმეტეს ნაწილს მათგანს არავინ მოითხოვს და რადგანაც ისინი ეკუთვნიან თავადთა და აზნაურთ. ხოლო შემდეგში შეიძლება ეს ფულები, კრებისავე დადგენილებით, საზოგადო საქმეს მოვანდომოთ.

თავ. **ივ. აფხაზი**. თავად-აზნაურობისთვის 200-ზედ მეტს დამფუძნებელთ წარმოუდგენიათ წინადადება—შემოგვიწირავს საერთო საქმისათვის ჩვენი ხვედრი ფულიო. მივიღოთ ეს შემოწირულება მადლობით და დავადგინოთ, რომ მაზრის მარშლები დაეკითხონ ყველა დამფუძნებელთ და ჩააგონონ კიდეც მათ—მოიქცენ ისე, როგორც 200 დამფუძნებელი მოქცეულა.

საგნის განხილვა გაგრძელდა $3^1/_2$ საათზე დღის 10 საათისთვის.

## დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“).

22 მარტი

**პეტერბურგი.** 22 მარტს მათი უდიდებულესობანი იუნკრის სასწავლებელში ბრძანდებოდნენ.

22 მარტს სამხედრო სასწავლებელთა უფროსი დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე პავლეს სამხედრო სასწავლებელში ბრძანდებოდა.

22 მარტს ხელმწიფე იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული ქალთა პატრიოტულ საზოგადოების პრინცი პეტრე ოლდენბურგის სახელობაზე აგებულ სკოლაში ბრძანდებოდა.

22 მარტს პეტერბურგში ჩამოვიდა ბოლგარიის სამხედრო მინისტრი პოლკოვნიკი პაპრიკოვი.

**ბლუმფონტეინი.** კალვილის დივიზია და ფრენჩის კავალერია უკანვე დაბრუნდნენ. ყველაფერი მშვიდობიანად არის. წყლის მილის დანგრევა საქმეს გააჭირვებს, რადგანაც საბანათ წყალი ძლიერ ცოტა დარჩება; სასმელი წყალი კი ბევრია.

**ლონდონი.** გაზეთ „ტაიმს“-ს ლორენცო-მარკეზიდან ატყობინებენ, რომ, როგორც ხმა დადის, ხუთშაბათს ტრანსვაალში რანდის ყველა სამადნოები დახურულ იქმნენ. ინგლისელი მუშები, აგრეთვე სხვა ინგლისელებიც, მათ რიცხვში ბანკის მოხელენიც, გაგზავნილ იქმნენ რესპუბლიკის სხვა ნაწილებში.

გაზ. „ტაიმს“-ს დეპეშით ატყობინებენ ბლუმფონტეინიდან: „მტრის მოძრაობა მოწმობს მის საქმიან გაბედულებას და ამტკიცებს, რომ იგი ორანჟეს რესპუბლიკის ჩრდილოეთ ნაწილში უფრო მძლავრია ვიდრე ფიქრობდნენ. მოძრაობა ოლსვიესი, რომელიც ხელ-ახლავ აღმოსავლეთისაკენ დაიძრა და ლედი-ბრანდი დაიჭირა და შემდეგ ჯარების შემოერთებისა ტაბანჩუ აიღო, შესანიშნავი სტრატეგიული ხერხია, რადგანაც ოლივიემ ისარგებლა რობერტსის ჯარების მდებარეობის ერთად-ერთი სუსტი მხარეთი. ეს საქმე სამწუხარო შეიქ-

მნა უფრო იმიტომ, რომ ჩვენ არ შეგვიძლიან სრულებით დავიფაროთ რესპუბლიკის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ის ფერმერები, რომელთაც იარაღი დაჰყარეს“.

„ტაიმს“-ს დეპეშით ატყობინებენ კაპშტადტიდან, რომ ინგლისის იმ რაზმში, რომელსაც უნდა დაეცვა ეხლახან კონსპრუისთან წართმეული ზარბაზნები, არ ყოფილა, როგორც სჩანს, არც ერთი კაცი, რომელსაც მინდობილი ჰქონებოდეს დაზვერის საქმე. მცველი ცხენოსანი რაზმი დამშვიდებული მიდიოდა მგლურის ნაპირით და მხოლოდ მაშინ შეამჩნია საფრთხე, როდესაც ზარბაზნების რიცხვის ნახევარი ბურებს ჩაუვარდათ ხელში.

21 მარტს მილნერი კაპშტადტში დაბრუნდა.

**ლონდონი.** უელსის პრინცი მეუღლით კოპენჰაგენში წავიდა.

**ლონდონი.** ქვემო პალატაში ირჩეოდა წინადადება გედდერვიკისა, რომლის აზრით სასურველია, რომ ახალშენებს წარმომადგენლები ჰყავდეთ იმპერიის პარლამენტში. ჩემბერლენი ეკამათება ამ წინადადებას და ამბობს, რომ ამ გვარი სურვილი ჯერ თვითონ ახალშენებმა უნდა გამოსთქვანო. ეჭვი არ არის, რომ ახალშენთა ყოველ სურვილს პარლამენტი დიდის განწყობილებით მოეკიდება, მაგრამ აქამდე არც ახალშენს ვედდერვიკის წინადადების მზგავსი რამ არ გამოუთქვამს. ამიტომაც, რაც უნდა სასურველი იყოს წინადადების მიზანი, კითხვის განხილვა უდროვოა და შეუძლიან მხოლოდ საქმეს ვნება მოუტანოს. ახალშენები არასოდეს არ შეურიგდებიან იმ აზრს, რომ იმპერიის პარლამენტში წარმომადგენლობისათვის მათ უნდა უარჰყონ თავიანთი დამოუკიდებლობა, თავზე იდონ სამხედრო სამსახური ინგლისისათვის და იხადონ ინგლისის გადასახადები. მეორე მხრივ, პარლამენტში კენჭის ყრის დროს ახალშენებს მეტად დიდი გავლენა ექმნებათ. დასასრულ ორატორმა უჩვენა ის ფინანსიური სიძნელენი, რომელნიც მოჰყვებიან ამ საქმის განხორციელებას. გედდერვიკმა წინადადება უკან წაიღო.

**ვენა.** აქ ჩამოვიდა ბოლგარიის მთავარი ფერდინანდი.

**სოფია.** მთავარის პროკლამაციაში, რომლითაც ფერდინანდი მინისტრთა რჩევას ანდობს რეგენტობას, ნათქვამია, რომ მთავარი საზღვარ-გარეთ მიდის. გაზ. „ნაროდნი ლისტი“-ს ცნობებით, მთავარი სან-რემოში მიდის თავისიანების სანახავად.

**ლისსაბონი.** დეპუტატების პალატა. გარეშე საქმეთა მინისტრი აცხადებს, რომ ინგლისის ჯარების და სამხედრო მასალის გადაზიდვა პორტუგალიის ტერრიტორიის რკინის გზით ბეისასა და უმტალის შუა ითხოვა ინგლისის მმართებლობამ და პორტუგალიამაც თანხმობა განაცხადა, რადგანაც ინგლისს სახელმწიფო ხელშეკრულებათა ძალით ამისი უფლება აქვს. ეხლანდელი ომი არ სპობს ომამდე მომხდარ ხელ-შეკრულობათ. პორტუგალიამ, როგორც ამას წესი მოითხოვდა, თავის დროზე შეატყობინა ტრანსვაალის მმართებლობას თავისი გარდაწყვეტილება; პორტუგალია სავსებით ასრულებდა ნეიტრალური სახელმწიფოს მოვალეობას. ვისაც კი უნდა სცოდნოდა ამ საქმის გარემოება, ყველას შევატყობინეთ. დასასრულ მინისტრმა სთქვა, რომ მას არ შეუძლია ისე დაჯდეს თავის ადგილს, რომ საგანგებოდ არ განაცხადოს, რომ ინგლისსა და პორტუგალიას შორის ისეთი მეგობრული განწყობილებაა, რომლის უკეთესი შეუძლებელია. ღმერთმა ქნას, რომ ეს განწყობილება ყოველთვის ამ გვარი იქნებოდეს.

**ლონდონი.** დილის გაზეთებში დაბეჭდილია დეპეშა კაპშტადტიდან, რომელიც იტყობინება, რომ გადამზიდავი გემი გენ. კრონიეთი, პოლკ. შილით და ათასი ტყვე ბურებით წავიდა წმ. ელენეს კუნძულისაკენ.

### 23 მარტი

**ბრიუსელი.** უელსის პრინცს, რომელიც აქ მობრძანდა ჩრდილოეთის რკინის გზით, სადგურზე ვიღაცა ბოროტ-განმზრახეელმა რევოლვერი ესროლა. პრიცს ტყვია ასცდა და უვნებლად დარჩა. ბოროტ-განმზრახველი შეიპყრეს.

**ბუხარესტი.** ერთი უცხოური გაზეთი იტყობინება, რომ ორის წლის წინად, იმ დროს, როდესაც 50 განდევნილი რუმინიელი ებრაელი ბორკილებით ხელფეხში ჩასხეს ბორანში, უკანასკნელი გაფუჭდა და შიგ მსხომნი დაიღუპნენ. ამ ცნობას საქმის მცოდნე წრეებში უარს ჰყოფენ და სთვლიან ჭორად და ბოროტ-განზრახულ გამოგონებით და უმატებენ, რომ არავითარი განდევნა არ ყოფილა გარდაწყვეტილი და აღსრულებაში მოყვანილიო.

**პრეტორია.** 20 მარტს მთავრობამ გამოსცა ბრძანება, რომლის ძალით იოჰანესბურგისა, ბოკბურგის და კრიუგერს—დორპის მცხოვრებნი 48 საათის განმავლობაში უნდა გადასახლონენ ამ ქვეყნიდან, ყველა დანარჩენებმაც ოჯახობით უეჭველად აგრეთვე უნდა დასტოვონ სამშობლო 23 მარტამდე. ეს განკარგულება არ შეეხებათ ბრიტანიის ქვეშევრდომთ, რომელნიც მუშაობენ სახელმწიფო მადნებში.

**დუბლინი.** დედოფალი მობრძანდა აქ, რომელსაც ქალაქს გარედ დაუხვდნენ დიდის ცერემონიით. ლორდ მერმა წარმოსთქვა მისაგებებელი სიტყვა. დედოფალმა უპასუხა, რომ იგი დიდად ნასიამოვნებია შემთხვევით, რომ ხელახლად ინახულა სამშობლო იმ ვაჟკაცებისა, რომელთაც გამოიჩინეს გმირული მამაცობა ტახტისა და იმპერიის დასაცავად. ვიცე-კოროლის სასახლისაკენ მიმავალ დედოფალს ხალხი ეგებებოდა განუწყვეტელი აღტაცებით.

**სპრინგფონტენი.** საფიქრებელია, რომ მტერთა დიდი ჯარი თავს იყრის იმ ადგილას, სადაც უერთდება რკინის გზები სარინგფონტენისა და ბლუმფონტენისა. გენერალი გატეკრი ემზადება ეწინაალმდეგოს ყოველივე ცდას მტრისას, რომელთაც სწადთ გზა გადულობონ რობერტსს და შეუშალოთ ხელი, რომ სხვა ჯარებს არ შეუერთდეს.

**პარიჟი.** შუა დღის შემდეგ მოხდა დუელი მახვილებით ლიუბერსაკოსა და ეფრუსის შორის. მეხუთე შეტაკებაზე ორივე მოწინააღმდეგეები დაჭრილ იქმნენ; ლიუბერსაკი კისერში, ეფრუსი—გულში. ექიმებმა შეაჩერეს ბრძოლა. დუელი გამოიწვია პოლემიკამ დუელის პროექტის შესახებ, რომელიც უნდა მომხდარიყო ლიუბერსაკისა და რობერტ როტშილდს შორის.

**ბრიუსელი.** პრინცი უელსისა მოვიდა კალედა და არა ოსტენდედან და იმ დროს, როდესაც ესროლეს რევოლვერი, იმყოფებოდა მატარებელში, რომელიც კელნში უნდა წასულიყო. ბოროტ-განზრახველმა, რომელიც იდგა ვაგონის საფეხურზე, ორჯერ ესროლა რევოლვერი სალონ-ვაგონის ფანჯარაში. პრინცის გვერდით იყვნენ მეუღლე მისი. აქვე იყო მასი ადიუტანტი სამოქალაქო ტანსაცმელით ბოროტ-განზრახველი მაშინვე იქმნა დატუსაღებული პოლიციის ოფიცრის მიერ და ჩვენება ჩამოართვა გზის უფროსმა ინპექტორმა. მსროლელი აღმოჩნდა 16 წლის მეთუნუქე სახელად სპიდო. იგი სცხოვრობდა სანქილში rue de la Forge ბრიუსელის მისავალში. ჯიბეში უპოვნეს მრავალი ანარქიული ქაღალდები. მან გამოაცხადა, რომ პრინცის მოკვლის სურვილი ჰქონდა. არავითარს სინანულს არა ჰგრძნობს და მზად არის, რომ შესაძლებელი იყოს, კვლავ განიმეოროს მოკვლა. პროკურორი დაუყოვნებლივ მივიდა სადაც ჩადენილ იქმნა დანაშაულობა, რომ გამოჰკითხოს შეპყრობილს, რომელიც ჯერ ჩრდილოეთ რკინის გზის პოლიციის ბიუროში არის.

**ბრიუსელი.** პრინცი უელისა მივიდა საგანგებო მატარებლით კალედან 4 საათზე 16 წ. და ნახევარ საათამდე და ორ სეკრეტართან ერთად დადიოდა სადგურის უმთავრესს დარბაზში, შემდეგ 5 საათზე 15 წ. გაემგზავრა კელნში. როდესაც სროლის ხმა გაისმა, მატარებელი მაშინვე შეაჩერეს ხალხი აღელდა. აღმოჩნდა რომ არც პრინცი და არც სხვა ვინმე არ იყვნენ დაჭრილნი. სადგურის უფროსი გაექანა მსროლელისაკენ და მანამ ბოროტ-გამზრახველი მოასწრებდა მესამეთ სროლას ჩაჰკრა ხელში. შეეჭიდნენ ერთმანეთს. ბოროტ-განძრახველი სცდილობდა თავის დახწევას, რამდენიმე კაცი მიეშველნენ, სადგურის უფროსს გამოჰგლიჯეს იარაღი და შეჰკრეს. პრინცმა ორჯერ გამოიხედა ფანჯრიდან და იკითხა დატუსაღებულია თუ არა ბოროტ-განძრახველი. მას უპასუხეს, რომ დატუსაღებულია. ერთი მოწამე ამბობს, რომ მოკვლა, ცხადია, წინადვე იყო განძრახული. დამტკიცებულია, რომ სიპიდის ბილეთი აუღია სადგურის აივანზე გასვლისა და დასეირნობდა სადგურში იმ დროსვე, რა დროსაც პრინცი. მისი რევოლვერი აღმოჩნდა ექვს ლულიანი; მასში იპოვეს კიდევ ერთი ტყვია; ორმა სროლამ ფალია აიწვა.

**მოსკოვი.** მოსკოვის ქალაქის საბჭოს უქვეშევრდომესი შუამდგომლობა ტოტალიზატორზედ თამაშობის შესახებ გადადებულ იქმნა განსახილველად იმ დრომდე, ვიდრე ახალი წეს-რიგის პროექტი არ იქნება შემუშავებული ამ საგნის შესახებ.

**როსტოვი-დონზედ.** მდ. დონის შესართავში ყინული დაიძრა. გაიხსნა მიმოსვლა აზოვსა და კაგალნიკის შუა როსტოვის ნავთსადგურიდან წავიდა რიმდენიმე გემი. დონის სათავეში ყინული არ დამდნარა. აქაურ ბაზარედ უკანასკნელ კვირაში მოვიდა 12;000 ფუთი ახალი თევზი და დიდ ფასებში იყიდება. ხორბლის ფასები არ იცვლება. ხორბალი 9 მ. 60 კ.

ქერი—6 მ. 80 კ. შვრია 3 მ. 30 კ.—ჩეთვერი.

**ბერლინი.** რუსეთის საელჩოში გამართული იყო სადილი, რომელზედაც დაესწრო იმპერატორი. დაესწრნენ აგრეთვე იმპერიის კანცლერი სტატს-სეკრეტარი ფონ-ბიულოვი, ელჩი ბერნში ფონ-ბიულოვი სამი კაბინეთის უფროსი გენ.-განკე, ლუკანუსი და ადმირალი სენდენი. წევრნი უმთავრესი სადგომისა, ობერ-გოფმარშალი გრაფი ეილენბურგი, საელჩოს წევრნი, გრაფინია ოსტენ-საკენისა, კნეინა ენგალიჩევისა, გვარდიის გრენადერთა ხელმწიფე იმპერატორის ალექსანდრეს და გვარდიის დრაგუნთა ხელმწიფა იმპერატრიცის ალექსანდრას პოლკთა უფროსები.

**პარიზი.** სენატი. ლეკონტი თხოულობს, რომ დელკასეს გუშინდელი სიტყვა გაკრულ იქმნას ქუჩებში. მემარცხენენი მოწონების ტაშის ცემით ეგებებნან, რამდენიმე მემარჯვენეთა პროტესტს აცხადებს. წინადადება მიღებულ იქმნა 189 ხმის უმეტესობით წინაალმდეგ 39. ხვალისთვის დანიშნულია ბიუჯეტის განხილვა.

დრ. რედ. **ალ. ჭყონია**

# გამოსადეგი ცნობანი

## საკალენდრო ცნობები

**ხარასკევი.** 24 მარტი; ახალი სტილით 6 აპრილი წლის დასრულებამდე დარჩა 282 დღე. მთვარის მე-8 დღე. დიდი მარხვისა. ოც-და-მეცამეტე დღე. ხსენება დიდის მოწამისა იაკობ აღმსარებელისა, ზაქარიასი და არტამონისა.

**შაბათი,** 25 მარტი; ახლი სტილით 7 აპრილი. წლის დასრულებამდე დარჩა 281 დღე. მთვარის მე-9 დღე. დიდი მარხვის ოც-და-მეთოთხმეტე დღე. ხარება ყოვლად წმიდისა ღვთის მშობლისა.

შემდეგი უქმი—25 მარტს—ხარება.

### ნ ი ხ რ ი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ხორცი ძროხის | 1 | გ. | —10 | კ. |
| სუკი . . . . | 1 | » | —15 | კ. |
| » ცხვრის . | » | » | —11 | კ. |
| » კამეჩისა. . | » | » | — 5 | კ. |
| » ღორისა. . | » | » | — 8 | კ. |
| » ღორის ზარგალი საღორეთი . | 1 | » | —10 | კ. |

(ძროხისა და ცხვრის ხორცს იის ფერი ბეჭედი ადგას, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პური ფურნისა | I | ხარ. | 1 | გ. | 5 | კ. |
| » » | II | » | » | » | $3^1/_2$ | » |
| » » | III | » | » | » | 3 | » |
| იგივე თორნისა | I | » | » | » | 5 | » |
| » » | II | » | » | » | 4 | » |
| » » | III | » | » | » | $3^1/_2$ | » |
| ლავაში ჯვ. მამ. | I | » | » | » | 6 | » |
| » » | II | » | » | » | 4 | » |

### ტფილისის ბაზრები:

გაიყიდა მეიდნებზე: გოგზალზე,

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | ფუთი. | მ. კ. | მ. კ., | |
| ხორბალი საუკ. | 1 | 1 30 | 1 20 | |
| ხორ. წითელი. . . | 1 | 1 15 | — | |
| ქერი . . . . . . | 1 | — 88 | — 85 | |
| სიმინდი . . . . . | 1 | — 70 | — — | |
| ფქვილი სოფლისა. | 1 | 1 20 | — — | |
| » უფრო მდარე. | 1 | 1 10 | — — | |
| კომბოსტო. . . . | 1 | — 60 | — — | |
| კარტოფილი. . . . | 1 | — 60 | — — | |
| ხახვი . . . . | 1 | — 50 | — — | |
| თივა . . . . . . | 1 | — 60 | — — | |
| ბზე . . . . . . | 1 | — 28 | — — | |

შეშა რცხილისა 1 სრული საჟ. საწყობებში 38 მ., შეშა ნარევი 36 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 50 კ.-დან 5-მდე, ცხვარი თათრული 3 მ. 80 კაპეიკიდან 4 მ. 60 კ.-მდე, ღორი ადგილობრივი ჯიშისა 8.-დამ 8 მ. 50 კ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური საკლავი 30 მ.-დან 45 მ.-მდე, ხარი შესაბმელი,—კამეჩი—მ. -მდე, კამეჩი საკლავი 26 მ.-დამ 34 მან., შესაბმელი— მ.


# განცხადებანი

**მ**აქვს კარგს ალაგზედ **შეშის და თხის ნახშირის სკლადი.** ვეძებ ამხანაგს. მსურველს შეუძლია იკითხოს „სემეინი ნომრებში“, დაბლა, ალექსანდროვის ბაღის პირდა-პირ. (3—3)

**ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს,** რომ მის თანადასწრებით, შუა დღის 12 საათზე, 28 მარტს 1990 წელს, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა, რომლითაც გაიცემა გაკეთება უწმინდური წყლის მილისა აწ არსებულიდან ოლღას ქუჩაზე წყლის მილამდე კიროჩნის ქუჩაზე, სიგრძით 200 საჟენი, დირებული 5500 მან.

ვისაც სურს დაწვრილებითი პირობების განხილვა, შეუძლია ნახოს გამგეობის აღმაშენებელ განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე (ნ. 3—1)

წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის

## გ ა მ გ ე ო ბ ი ს ა გ ა ნ.

წერილებით, თუ სიტყვით მრავალჯერ გამოცხადებულის საზოგადოების სურვილის თანხმად ამხანაგობის გამგეობამ მოსახერხებლადა სცნო, რამდენადაც კი შეიძლება, ფასი დააკლოს მის მიერ გამოცემულ წიგნებს.

**წიგნები გაიყიდება შემდეგ ფასად:**

| | მან. კაპ. |
|---|---|
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი ოთხი ტომი, თითო ტომი ცალკე . | 1— » |
| თხზ. ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი . . . . . . . | «—50 |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა-პოემა ბაჩანასი . . . . . . . | «—10 |
| ზნელო, მოთხრობა ნ. მელანიასი (პსევდონიმი) . . | «—20 |
| თხზულებანი ი. ჭავჭავაძისა, ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი: | |
| I ტომი . . . . . . | «—70 |
| იგივე II ტომი . . . . . . | «—60 |
| იგივე III ტომი . . . . . . | «—60 |
| იგივე IV ტომი (ორ წიგნად) . . . . | «—80 |
| სოფლის კუნწულა დ. მაჩხანელისა . . . . | «—10 |
| თხზულებანი აკაკისა I ტომი . . . . . | «—60 |
| იგივე II ტომი . . . . . | «—60 |
| თხზულებანი რ. ერისთავისა I ტომი . . . | «—60 |
| სიბრძნე-სიცრუვე საბა-ორბელიანისა . . . | «—40 |
| საქართველო და მისი წარსული დრო პოტოსი . . | «—20 |
| აივენგო ვოლტერ სკოტისა . . . . . | «—50 |
| აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში . . | «—15 |
| გაბრიელ ეპისკოპოსის ბიოგრაფია სურათით . . | «—15 |
| სამზარეულო ქართულის და ევროპიულის საჭმელებისა . | 1—20 |
| ღვინის დაყენება პროფესორის კ. პეტრიაშვილისა . . | 1—50 |
| რძე მისივე . . . . . . . . | 1—50 |
| სიბრძე ბალავარისა . . . . . . . | «—30 |
| ცეცხლითა და მახვილითა . . . . . | «—80 |
| დასტურ-ლამა . . . . . . . | «—10 |

ვინც გაიწერს წაგნებს, ფოსტის ხარჯი დაედება წონის მიხედვით გაგზავნის დროს (наложеннымъ платежомъ) წიგნების ფასი 25% წინადვე უნდა იქმნას გაგზავნილი.

წიგნები ამხანაგობის კიოსკში იყიდება, ქ. ტფილისში, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ ფული უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.

ქართველთა ამხანაგობის, წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების და კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში ისყიდება

## გლეხი-კაცის ისტორია,

ერკმან-შატრიანისა:

**სრული ისტორია საფრანგეთის დიდი რევოლიუციისა**

| | | | |
|---|---|---|---|
| ნაწილი | I | საერო კრება . . . . . . . . . | 60 კ. |
| | | იგივე კარგ ქაღალდზე. . . . . . . | 75 „ |
| ნაწილი | II | სამშობლოს განსაცდელი. . . . . | 60 „ |
| | | იგივე კარგ ქაღალდზე . . . . . . | 75 „ |
| ნაწილი | III | წელიწადი პირველი რესპუბლიკისა | 1 მ. 20 „ |
| და ნაწილი | IV | მამულიშვილი ბონაპარტი | |
| | | იგივე კარგ ქაღალდზე . . . . . | 1 მ. 50 „ |

ბრშყალები, დრამა 3 მოქმ. პოლ-ერვიესი . . . . . 30 „
ივდითი, ტრაგედია 5 მოქმ. ჯიაკომეტისა . . . . 30 „

**პირველი ნაწილი ცალკე აღარ იყიდება**


გამომც. ზ. ჭიჭინაძე.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 23 Марта, 1900 г.

სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—სა. განქის დიდი ქუჩა, № 27.